

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2011 წლის 23 თებერვალი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 აგვისტოს №603 ბრძანებულების შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დადგინდეს სახელმწიფო და ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს ქ. ხონის ტერიტორიის ზონირება (დანართი №2).

მუხლი 3

დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სახელმწიფო და ხონის მუნიციპალიტეტში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 თებერვლის №126 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს დადგენილი წესით მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. გელენიძე

დანართი № 1

ხონის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. „სახელმწიფო და ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში – მიწის ნორმატიული ფასი) დიფერენცირებულია ქ. ხონში შესაბამისი ზონების მიხედვით, დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_n = I \cdot X \cdot I \cdot X \cdot C \cdot K$, სადაც

MG TL

ა. C_n არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

ბ. I არის ქ. ხონის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,42-ს.

MG

გ. I არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის:

TL

გ.ა) ცენტრალური ზონისთვის – 1,2-ს

გ.ბ) შუალედური ზონისათვის – 1-ს;

გ.გ) პერიფერიული ზონისათვის – 0,8-ს;

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24-ს;

ვ) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა ყველა ზონაში უდრის 30-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქ. ხონში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

imc	itl	c	k	cw (ლარი)
ცენტრალური ზონა				
0,42	1,2 შუალედური	0,24 ზონა	30	3,63
0,42	1	0,24	30	3,02
პერიფერიული ზონა				
0,42	0,8	0,24	30	2,42

3. ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხონის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 50 %-ს ოდენობით და იგი შეადგენს 1,51 ლარს.

4. ხონის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის, სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხონის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 25 %-ს ოდენობით და იგი შეადგენს 0,75 ლარს.

5. ხონის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საქართველოს საერთაშორისო შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის №544 ბრძანებულებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხონის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 50 %-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1,51 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

დანართი №2

ქ. ხონის ზონების აღწერა	ლოკალურ ტერიტორიული ინდექსი itl
ცენტრალური ზონა	
ცენტრალური ზონის საზღვარი გასდევს ვ. ბახტაძის ქუჩას, ქალაქია ცენტრალური სტადიონის დასავლეთ საზღვრამდე. შემდეგ საზღვარი გასდევს ახალგაზრდობის ქუჩას, კვეთს ი.ჭავჭავაძის ქ. №5 საცხოვრებელ სახლთან და ვრცელდება სამხრეთით სამრეწველო ბაზრის ტერიტორიის ჩათვლით, შემდეგ საზღვარი მიემართება სამხრეთ აღმოსავლეთით ი.აბაშიძის ქუჩის გადაკვეთამდე და მოიცავს ავტოსადგურის ტერიტორიას, ხაზი გრძელდება სამხრეთით მ.ხონელის ქუჩისა და მ.ხონელის მე-2 შესახვევის გადაკვეთამდე, ჩრდილოეთით მ.ხონელის ქუჩის გასწვრივ გ.ჭანტურიას ქუჩის გადაკვეთამდე, გასდევს ქუჩის №13 საცხოვ.სახლამდე. ხოლო შემდეგ საზღვარი მიემართება ჩრდილოეთით და კვეთს ჭანტურიას ქუჩას, გურამიშვილისა და შამათავას ქუჩებს სოლ.მეორის ქუჩის გადაკვეთამდე, საზღვარი გაზდევს სოლ. მეორეს ქუჩის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელ ბინამდე. გრძელდება სამხრეთ დასავლეთის მიმართულების და უერთდება ვ.ბახტაძის ქუჩას საწყის წერტილში.	1,2
შუალედური ზონა	
შუალედური ზონის საზღვარი ჩრდილოეთით ნუგუზიძის და პუშკინის ქუჩების გადაკვეთიდან მიემართება სოლ.მეორის ქუჩისაკენ და კვეთს მას №21 სახლთან, გრძელდება დასავლეთით და კვეთს მ.სებუას № 9 საცხოვრებელი სახლთან, იპ.ხვიციას 1. №13-18 საცხოვრებელ სახლებთან და რკალისებურად მიემართება სამხრეთ დასავლეთით ვ.ბახტაძის და ახალგაზრდობის ქუჩის პირველი შესახვევის გადაკვეთიდან მიემართება სამხრეთისაკენ და კვეთს ი.ჭავჭავაძის ქ. №20 საცხ.სახლთან, შემდეგ ბაგრატიონის №75-54 საცხ.სახლებთან და გრძელდება რკალისებურად სამხრეთით, კვეთს ი.აბაშიძის ქ. პირველ შესახვევს №14 სახლთან ი. აბაშიძის ქუჩიდან იცვლის მიმართულებას აღმოსავლეთით და გრძელდება მ.ხონელის და 26 მაისის ქ-ის გადაკვეთამდე. შემდეგ მიემართება რკალისებურად აღმოსავლეთით 26 მაისის ქუჩის მარჯვენა მხარით და კვეთს ტ.ტაბიძის,მებუკისა და ნიკოლაძის ქუჩებს №29 სახლთან, გ.ჭანტურიას ქ. №100 და აღმაშენებლის ქ. №16-19 საცხ.სახლთან. შემდეგ მიემართება ჩრდილოეთით, კვეთს გურამიშვილის ქ-ის, პირველი შესახვევის რუსთაველის ქ-ის გადაკვეთამდე და გრძელდება ნუგუზიძისა და პუშკინის ქ-ის გადაკვეთამდე.	1,0
პერიფერიული ზონა	
პერიფერიულ ზონაში შედის ტერიტორია ჩრდილოეთის მხარეს სოლ.მეორის ქ. №21 სახლიდან ნახახულების ტერიტორიული ორგანოს საზღვრამდე, დასავლეთით ჭავჭავაძის და ბაგრატიონის ქ-ის გადაკვეთიდან მარტვილის საზღვრამდე, სამხრეთისკენ 26 მაისის და მ.ხონელის გადაკვეთიდან ივანდიძის საზღვრამდე. აღმოსავლეთით ჭანტურიას ქ-ის 100 ნომრიდან კუხის ტერიტორიული ორგანოს საზღვრამდე.	0,8